



The Problem of Using Imprisonment to Secure Bail in Criminal Proceedings

Dodo Jugheli

Master of law, Labour Inspection Office, Georgian Bar Association, Kutaisi, Georgia

ARTICLE INFO

Article History:

Received 06.09.2022
Accepted 29.09.2022
Published 30.09.2022

Keywords:

Bail, Jail, Principle,
Restriction,
Harmonization

ABSTRACT

There is a provision in the criminal procedural legislation that creates a danger of covert violation of the basic human right – freedom. This threat arises at the first presentation session against the detained accused, when the court assigns the accused another, lighter, restraining measure instead of imprisonment. Despite the court's decision, the defendant is not immediately released from the courtroom. According to the Code of Criminal Procedure, at this time there is the use of imprisonment for the purpose of providing bail, i.e. "custodial bail".

The court's decision to release the person on bail is enforced later, after the provision of the law has been fulfilled. In particular, the arrested accused is obliged to pay a certain amount of money as bail, in order to enforce the decision against him. As a result, the determining factor for the accused's release is not the court decision, but his solvency. In case of non-payment of the amount, he remains in prison, which leads to an unjustified violation of the presumption of freedom. Making a decision on release by the court is of a formal nature, thus creating a practice of low protection of human freedom, incompatible with international standards. As a result of such an approach, the accused on bail is unjustifiably kept in prolonged detention and, moreover, he is deprived of the opportunity to appeal the said treatment.

გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენების პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში

დოდო ჯულელი

სამართლის მაგისტრი, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, საქართველოს ადვოკატთა
ასოციაცია, ქ.ქუთაისი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: გირაო, პატიმრობა, პრინციპი, შეზღუდვა, ჰარმონიზაცია

შესავალი

თემის აქტუალობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა პატიმრობას გირაოს უზრუნველყოფის მიზნით იყენებს. შესაბამისად, იმისათვის რათა სასამართლოს მიერ აღნიშნული სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას დაცული იქნას ადამიანის ძირითადი უფლებები და არ მოხდეს ზედმეტად ჩარევა პირის თავისუფლებაში, საჭიროა საკითხის სიღრმისეული კვლევა განხორციელდეს.

კვლევის საგანი. კვლევის საგანია გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენების სამართლებრივი პრობლემა. „საპატიმრო გირაოს“ გამოყენების წესს სასამართლო და პრაქტიკოსი იურისტები არაერთგვაროვნად განმარტავენ. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა აღნიშნული ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე, რის გამოც იმატებს საზოგადოების ინტერესი სამართლის შესაბამისი ნორმების მოქმედებასთან დაკავშირებით. ამგვარად, იკვეთება აღნიშნული საკითხის სამართლებრივი საფუძვლებისა და პრაქტიკის შესწავლის საჭიროება.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანს გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პა-

ტიმრობის გამოყენების სამართლებრივი პრობლემების გამოკვეთა და ანალიზი წარმოადგენს. მოხდება იმის წარმოჩენა, თუ რა საფრთხეები შეიძლება არსებობდეს „საპატიმრო გირაოს“ მოქმედი რედაქციით გამოყენების პირობებში. კვლევის ამოცანაა თემასთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო რეგულაციების შესწავლისა და პრობლემების გამოკვეთის შედეგად მოხდეს მისი გადაჭრის გზების მოძიება. აღნიშნული ამოცანის მიღწევა მოხდება როგორც ისტორიული წინამძღვრებისა და კონსტიტუციურსამართლებრივი ქრილში საკითხის წარმოდგენით, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის ნორმებისა და პრაქტიკის მოშველიებით.

კვლევის ეტაპები. წინამდებარე სტატიის შესავალში წარმოდგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 200.6 მუხლით ჩამოყალიბებული ნორმის შინაარსი და მისი ადგილი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

ძირითადი ნაწილი ეთმობა ქვეთავებს, რომლებიც ეხება ყველა იმ საფრთხეების ჩამონათვალსა და განმარტებას, რაც გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენების მოქმედი რედაქციის პირობებში იქმნება. კერძოდ, ავტომატური უარი გირაოს ნაცვლად გათავისუფლებაზე, განგრძობადი

პატიმრობის საფრთხე, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ხარისხი, გირაოს თანხის გადაუხდელობის გავლენა ბრალდებულის თავისუფლებაზე, პატიმრობის გადასინჯვის საკითხი და ერთდროულად ორი სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივი შედეგები. თითოეული თემა განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრაქტიკასთან შესაბამისობის კუთხით.

დასკვნაში წარმოდგენილია შეჯამება და ავტორისეული მიდგომა, წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტის მიზნით.

ძირითადი ნაწილი

საერთაშორისო თანამეგობრობის ერთობლივმა ძალისხმევამ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში არაერთი ქვეყანა გამოწვევის წინაშე დააყენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელმწიფოთა მისწრაფება შეიქმნას მალალი სტანდარტი პირთა თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. ამ მხრივ დღემდე აქტუალობას არ კარგავს პატიმრობის გამოყენების საკითხი, რომელიც ადამიანისთვის მრავალი სხვა, მათ შორის, სოციალური უფლებების, რეალიზების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა პატიმრობას გირაოს უზრუნველყოფის მიზნითაც იყენებს. ამგვარად, სასამართლოს მიერ გირაოთი გათავისუფლებული პირი კვლავ რჩება პატიმრობაში მანამ, სანამ არ მოხდება გირაოს შეტანა შესაბამის ანგარიშზე.

„საპატიმრო გირაოს“ გამოყენების წესს სასამართლო და პრაქტიკოსი იურისტები არაერთგვაროვნად განმარტავენ. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ნორმის მოქმედი რედაქციის კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე, რაც გახდა კიდევაც საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი. 2018 წლიდან დღემდე საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობს პრაქტიკაში ჩამოყალიბებული მიდგომის ადამიანის უფლებებთან შესაბამისობის საკითხზე. შესაბამისად, დღე-

მდე განხილვის საგნადაა ქცეული აღნიშნული თემის სამართლებრივი საფუძვლებისა და პრაქტიკის შესწავლის საჭიროება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 200.6 მუხლის თანახმად: „სასამართლო პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით, მის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე გირაოს სრულად ან ნაწილობრივ (მაგრამ არა ნაკლებ 50% – ისა) შეტანამდე“.

აღნიშნული, ე.წ. „საპატიმრო გირაო“ არ წარმოადგენს აღკვეთი ღონისძიების ცალკე, დამოუკიდებელ სახეს, ვინაიდან ამგვარ მითითებას სსს კოდექსი არ აკეთებს და ამასთან იგი გირაოს გამოყენების წესის განმსაზღვრელ მუხლშია მოცემული. თუმცა, ე.წ. „არასაპატიმრო გირაოსგან“ განსხვავებით, მისი გამოყენებით შესაძლოა ბრალდებულთა უფლებები იქნეს დარღვეული.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია დასაბუთება იმისა, თუ რა სამართლებრივ საფრთხეს შეიძლება ატარებდეს გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენების დამკვიდრებული პრაქტიკა სისხლის სამართლის პროცესში.

ავტომატური უარი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებაზე

მოქმედი კანონმდებლობა პირის პატიმრობაში დატოვების საკითხს განიხილავს როგორც ღონისძიებას, რომელიც უკიდურეს შემთხვევაში უნდა იქნას გამოყენებული. თუმცა ასეთი მიდგომის მიუხედავად საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას დატოვოს გირაოთი გათავისუფლებული ბრალდებული პირები პატიმრობაში სსსკ მე-200 მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილ შემთხვევებში. აღნიშნული ნორმა გამორიცხავს მოსამართლის მიერ საკითხის გადასინჯვის, შეფასების შესაძლებლობას. ამ-

გვარად, სასამართლო ვალდებულია ავტომატურად უარი უთხრას დაკავებულ ბრალდებულებს გათავისუფლებაზე, რასაც სასამართლო პრაქტიკაც ადასტურებს.

სასამართლო განჩინებებში ვკითხულობთ, რომ ვინაიდან ბრალდებულთა მიმართ დაკავება იქნა გამოყენებული, პირი გირაოს შეტანამდე პატიმრობაში უნდა იქნეს დატოვებული. მეტიც, ერთ-ერთ შესწავლილ განჩინებაში საგამოძიებო კოლეგია პირდაპირ განმარტავს, რომ სსსკ მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი იმპერატიული შინაარსისაა.¹ სასამართლო პროკურორის შუამდგომლობის არარსებობის პირობებშიცაა ვალდებული დაკავებულ ბრალდებულს გირაოს უზრუნველსაყოფად პატიმრობა შეუფარდოს, რითაც ბრალმდებლის ფუნქციას ითვისებს.²

ამავე განჩინებაში კოლეგია უარყოფითად აფასებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკავებული ბრალდებულის მიმართ გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენებაზე უარის თქმას და აღნიშნავს, რომ მოსამართლე არ იყო უფლებამოსილი უარი ეთქვა ნორმის გამოყენებაზე და არასწორად განემარტა იგი.³ ვინაიდან გირაოს უზრუნველყოფად პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილებას სასამართლო მხოლოდ ფორმალურად იღებს, გამოდის, რომ არა სასამართლო, არამედ ბრალდების მხარე წყვეტს „საკატიმრო გირაოს“ გამოყენების საკითხს.⁴

საყურადღებოა ისიც, რომ თუ ბრალდებულის მიმართ მოსამართლე სხვა აღკვეთის ღონისძიებას, მაგალითად, პირად თავდებობას, გამოიყენებს მაშინ იგი დაუყოვნებლივ, სხდომის დარბაზიდანვე უნდა იქნეს გათავისუფლებული.⁵ არ არსებობს საფუძვლიანი არგუმენტი იმისა, თუ რა განაპირობებს ამგვარ განსხვავებულ მიდგომას „საკატიმრო გირაო“ შეფარდებულ ბრალდებულთა მიმართ.

ავტომატური პატიმრობის საკითხთან და-

კავშირებით საქართველოს კანონმდებლობის ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის პრეცედენტებთან შედარებისას აღმოვაჩინეთ მსგავსებას საქმესთან: „კაბალერო გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“. ორივე შემთხვევაში საქმე ეხება პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებაში ჩარევის საფუძვლებს, რომელიც კანონშია განერილი. აღნიშნულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაკავების ავტომატურად გამოყენების საკითხი კონვენციის მიზნების საწინააღმდეგოდ შეაფასა.⁶

ამგვარად ცალსახაა, რომ სსსკ 200.6 მუხლის ჩანაწერი დაკავებულ ბრალდებულთან მიმართებით პატიმრობის ავტომატურად გამოყენებას ახდენს. შედეგად, მოსამართლეს თავად კანონი არ აძლევს დისკრეციულ უფლებამოსილებას, სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლოს გირაოშეფარდებული ბრალდებული.

სასამართლოს მიერ „საკატიმრო გირაოს“ გამოყენების დასაბუთების საკითხი

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას, რომელიც საზოგადოების მხრიდან ხელისუფლების ამ შტოსადმი ნდობას განამტკიცებს. უფრო ვიწროდ თუ განვიმარტავთ, სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობით საზოგადოებას უჩნდება რწმენა, რომ „მხარის არგუმენტები მართლა იქნა მოსმენილი და გაგებული“⁷. ხოლო ვინაიდან საქმე ეხება აღკვეთის ღონისძიების ისეთ სახეს, რომელიც ბრალდებულებისთვის თავისუფლების თუნდაც მცირე ხნის შეზღუდვას ითვალისწინებს, მითუმეტეს უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ მიღებული ამგვარი გადაწყვეტილების დასაბუთება.

თუკი სსსკ 200.6 ნაწილის დებულებას დასაბუთების ქრილში გავნიხილავთ, სადაო არ იქნება ის გარემოება, რომ „დამსაბუთებლის როლს“ კანონმდებლის მიერ შექმნილი ნორ-

1 იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 29 ივნისის განჩინება, საქმე №-1გ/895-17, გვ. 6.

2 იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 29 ივნისის განჩინება, საქმე №-1გ/895-17, გვ. 4.

3 იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 29 ივნისის განჩინება, საქმე №-1გ/895-17, გვ. 6.

4 იხ., ჯორბენაძე ო., (2018). „გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენება“, იხ. სამართლის ჟურნალი: „მართლმსაჯულება და კანონი“, 1'18, გვ. 105-110.

5 იხ., იქვე.

6 იხ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Caballero v. the United Kingdom*.

7 ტრეუსელი შ. (2009). ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, გვ 129.

მა ასრულებს. მისი გამოყენების წინაპირობა მხოლოდ ბრალდებულის დაკავების ფაქტის არსებობაა. ვინაიდან მოსამართლეს არ გააჩნია დისკრეცია თავად გადაწყვიტოს „საპატიმრო გირაოს“ გამოყენების საკითხი, მას დასაბუთებელიც არაფერი აქვს, იგი მხოლოდ ამ ნორმის ამსრულებლად გვევლინება. თუკი სასამართლო პრაქტიკას გადავხედავთ, განჩინებათა უმრავლესობაში მხოლოდ შაბლონურად ხდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მოხსენიება კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების პრეზუმფციის დაცვაზე და წარმოდგენილია მსჯელობა მხოლოდ გირაოს გამოყენების მიზნაშენიშნულობაზე.⁸ მიუხედავად იმისა, რომ განჩინებებში სასამართლო ევროპული პრაქტიკის საფუძველზე გამორიცხავს პატიმრობის გამოყენების საჭიროებას, ეროვნულ კანონზე დაყრდნობით იგი მაინც იყენებს პატიმრობას ბრალდებულის მიმართ მანამ, სანამ გირაო იქნება შეტანილი. სწორედ კანონის საფუძველზე მიღებული, მაგრამ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიჩნია ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის საწინააღმდეგოდ ბოიჩენკოს საქმეში⁹.

„საპატიმრო გირაოს“ ავტომატურად გამოყენების შედეგია პრაქტიკაში სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის დაბალი ხარისხი პატიმრობის გამოყენების ნაწილში, რა დროსაც მოსამართლე მხოლოდ კანონის ჩანაწერზე მითითებით შემოიფარგლება.

განგრძობადი პატიმრობის საფრთხე დაკავების კანონიერების შემოწმებისას

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს პირის დაკავების ორ საფუძველს: სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე, ან მის გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობისას.

8 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 14 თებერვლის №3/3/1341 საოქმო ჩანაწერი, I-7.

9 იხ. მაკბრაიდი ჯ., ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, სტრასბურგი, 2011 წ., გვ. 61.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არ არსებობს ჩანაწერი, რომელიც განამტკიცებდა ბრალდებულის უფლებას – მიემართა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოსათვის დაკავების კანონიერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე. განსაკუთრებით საყურადღებოა სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაკავების საკითხი, რადგან ასეთი განჩინება შესაძლებელია არასწორად იქნეს გაცემული. ამ შემთხვევაში, ვინაიდან, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას გადასინჯოს იგი, ბრალდებული შესაძლებელია განგრძობად პატიმრობას დაექვემდებაროს.¹⁰

განგრძობადი პატიმრობის საფრთხე არა მხოლოდ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას, არამედ „საპატიმრო გირაოს“ გამოყენების დროსაც არსებობს. გირაოს შეფარდებისას მისი პატიმრობით უზრუნველყოფის ერთადერთი განმაპირობებელი გარემოება – დაკავების ფაქტის არსებობაა. დავუშვათ ისეთი შემთხვევა, როდესაც სასამართლო მიერ არასწორად მოხდა დაკავების განჩინების გაცემა, ხოლო დაკავებული ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით „საპატიმრო გირაო“ იქნა გამოყენებული. ვინაიდან, ასეთი დაკავების გასაჩივრება შეუძლებელია, ბრალდებული ხანგრძლივად, უკანონოდ დარჩება პატიმრობაში მანამ, სანამ კანონით განსაზღვრული პირობა არ იქნება შესრულებული. ამასთან, დაკავების კანონიერების გასაჩივრებისმ ექანონის არარსებობა იმ არგუმენტით, რომ იგი თავისუფლების მხოლოდ ხანმოკლე აღკვეთას ითვალისწინებს, გაუმართლებელია, ვინაიდან, მოსამართლის თუნდაც ერთ, არასწორად გაცემულ განჩინებას ბრალდებულის მიმართ, ავტომატურად, განგრძობადი, ცხრათვემდე პატიმრობის გამოყენება შეიძლება მოჰყვეს. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე განმარტავს სასამართლო, რომ პატიმრობის გაგრძელებაში იგულისხმება აღკვეთის ღონისძიების სახით პირველადი პატიმრობის შეფარდებაც.¹¹

10 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 14 თებერვლის №3/3/1341 საოქმო ჩანაწერი, I-8.

11 იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 29 ივნისის განჩინება, საქმე №-1გ/895-17, გვ. 4.

დაკავების პროცესის წარმართვასა და მის გასაჩივრებასთან დაკავშირებით, საინტერესოა ევროპული ქვეყნების მიერ შემუშავებული პროცედურის განხილვა. ამ მხრივ გაერთიანებული სამეფო გამორჩეულია, ვინაიდან დაკავების კანონიერების შემოწმება ორჯერ, ექვსი საათისა და ცხრა საათის გასვლის შემდეგ ხდება. ნიდერლანდები კი აღნიშნული პროცედურა 6-დან 15 საათამდე ვადაში ხორციელდება. პოლიციელთა მხრიდან შესაძლო თვითნებობის შესამცირებლად სპეციალურად დანიშნული პირის ამოწმებს დაკავების კანონიერებას და დაკავების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს.¹² რაც შეეხება საქართველოს, სსსკ 174-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად პირის დაკავება დაუშვებელია 72 საათზე მეტი ვადით, ხოლო ბრალდების შესახებ დადგენილება დაკავებულს უნდა გადაეცეს არა უმეტეს 48 საათისა. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი უნდა იქნეს გათავისუფლებული. ჩამოყალიბებული პრაქტიკის შედეგად კი სამართალდამცავთა მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება უმეტესად 48 საათის მიწურულს ხდება.¹³ ამგვარად, საქართველოში საკანონმდებლო დონეზე განერილი დეტალური პროცედურის არსებობის მიუხედავად კვლავაც არსებობს საფრთხე უფლებამოსილი თანამდებობის პირთა მხრიდან თავიანთი ვალდებულებების არასრულყოფილად შესრულებისა. აღნიშნულ ვარაუდს კიდევ უფრო ამყარებს ის გარემოება, რომ დაკავების ვადა ზემოთხეხებულ ქვეყნებთან შედარებით საგრძნობლად განსხვავებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაკავების პროცედურული წესების სისწრაფე და ეფექტურობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემდგომში ბრალდებულთა თავისუფლებაზე. პირთა თავისუფლებაში ჩარევის შემთხვევაში მათი უფლებრივი მდგომარეობა ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს ასეთი ჩარევის კანონიერების შემოწმების შესაძლებლობას. სტრასბურგის სასამართლოს მიდგომაც, ამ კუთხით ცალსახაა – დაკავებულს უნდა ჰქონდეს უფლება მოითხოვოს პროცედურული და არ-

სებითი პირობების გადასინჯვა.¹⁴ ამ უფლების არსებობის დადებითი შედეგი აისახება არა მხოლოდ პატიმრობა შეფარდებულ ბრალდებულებზე, არამედ იმ პირებზეც, ვის მიმართაც გირაოს უზრუნველყოფის მიზნით ატიმრობა იქნება გამოყენებული. დაკავების გასაჩივრების მექანიზმის შემოღება მინიმუმამდე დაიყვანს ბრალდებულთა მიმართ განგრძობადი პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობას.

გირაოს თანხის გადაუხდელობის გავლენა ბრალდებულის თავისუფლებაზე

სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებისას მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ მოსამართლე ვალდებულია ბრალდებულს გირაოს სათანადო ოდენობა განუსაზღვროს. „საპატიმრო გირაოს“ დროს სწორედ გირაოს ოდენობაზეა დამოკიდებული ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნა. იმ შემთხვევაში, თუკი გირაოს თანხის განსაზღვრისას მხოლოდ დანაშაულის სიმძიმე და მოსალოდნელი სასჯელის ზომა იქნება გათვალისწინებული, ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლების, ქონებრივი მდგომარეობის, ბრალად შერაცხული ქმედების ხასიათისა¹⁵ და სხვა გარემოებების დადგენის გარეშე, მოსამართლის მიერ შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის გირაოს გამოყენების საფრთხე შეიძლება შეიქმნას. თუკი თითოეული ბრალდებულის ინდივიდუალური მახასიათებლების გამოკვლევა არ ხდება, რთულია დადგინდეს თუ რა თანხის გადახდა შეუძლია ბრალდებულს. სასამართლოს მიერ გამოყენებული არასათანადო ოდენობის გირაოს გადაუხდელობის შედეგად კი პირი შესაძლოა გახანგრძლივებულ პატიმრობას დაექვემდებაროს. ერთი შეხედვით, აღნიშნული მოცემულობა თეორიულად ნაკლებ პრობლემატური ჩანს. რაც შეეხება პრაქტიკას, გირაოს გადაუხდელობისას განგრძობადი პატიმრობის

12 იხ. ბოხაშვილი ბ., მშვენიერაძე გ., ყანდაშვილი ი. (2016). ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში The Procedural Rights of Suspects in Georgia, გვ. 22.

13 იხ., იქვე.

14 იხ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Brogan and Others v. the United Kingdoms, §65.

15 იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 დეკემბრის განჩინება, საქმე №-1გ/1244-14, გვ. 6.

საფრთხე განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც არ ხდება დადგენა გადაუხდელობის მიზეზისა: ბრალდებულს არ აქვს გადასახდელი თანხა, თუ იგი შეგნებულად ამბობს უარს მის გადახდაზე.¹⁶ თუკი იარსებებს მიდგომა, რომელიც გირაოს გადაუხდელობის მიზეზის გამოკვლევის გარეშე პატიმრობის ავტომატურად გამოყენების თუნდაც ერთ პრეცედენტს შექმნის, საქმე გვექნება ე.წ. „შეფარულ პატიმრობასთან“.¹⁷

სსსკ მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი, როგორც ზემოთ უკვე იქნა განხილული, იმპერატიული შინაარსისაა. შესაბამისად, უფრო საფრთხილოა გამოსაყენებელი გირაოს ოდენობის განსაზღვრის საკითხი, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც, მოსამართლის მიერ გამოყენებული გირაოს არაპროპორციული ზომა ბრალდებულის პატიმრობაში დატოვების საფუძველი შესაძლოა გახდეს. შედეგად, მიუხედავად სასამართლოს მიერ პატიმრობაზე უფრო მსუბუქი ღონისძიების – გირაოს – გამოყენების მიზანშეწონილად მიჩნევისა, ბრალდებული ფაქტობრივად პატიმრობაში დარჩება. ამის ერთადერთი მიზეზი, კი შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის გირაოს დადგენილ ვადაში შეუტანლობა იქნება, ხოლო საბოლოო შედეგი – განგრძობადი პატიმრობა. საყურადღებოა ამ საკითხზე ეროვნული სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმადაც ევროსასამართლო კონვენციის საწინააღმდეგოდ მიიჩნევა არა „საპატიმრო გირაოს“, არამედ განგრძობად პატიმრობას.¹⁸ მართალია, ევროპული კონვენცია გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენებას არ კრძალავს, თუმცა მაშინ, როდესაც „საპატიმრო გირაო“ გახანგრძლივებული პატიმრობის საფრთხეს ქმნის, საქმე გვაქვს ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით დაცული უფლების დარღვევასთან.

პატიმრობის გადასინჯვა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის გადასინჯვის

წესს ითვალისწინებს. სსსკ 206-ე მუხლის მე-8 ნაწილი ორიენტირებულია რა ბრალდებულის თავისუფლებისათვის უპირატესობის მინიჭებაზე, აღკვეთის ღონისძიების შეცვლისა და გაუქმების წესს ადგენს. ამ მუხლის თანახმად, შუამდგომლობის დასაშვებად მიღების შემთხვევაში, „ახალი, არსებითი მნიშვნელობის მქონე“ გარემოებების განსახილველად სასამართლო ზეპირ მოსმენას ატარებს. კანონმდებელი ხაზს უსვამს აღნიშნული სხდომის მნიშვნელობას და მოსამართლეს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდგომ აძლევს. სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლოა ბრალდებული პატიმრობიდან იქნეს გათავისუფლებული და შეეფარდოს სხვა აღკვეთის ღონისძიება, მაგალითად გირაო. სასამართლოს ხელში გათავისუფლების დისკრეციული მექანიზმის არსებობის მიზეზი კი არის ის, რომ პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენების საჭიროება შესაძლოა აღარ არსებობდეს. აღნიშნული დანაწესი განპირობებულია თავისუფლების პრეზუმფციის არსებობით, რომელიც სსსკ მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დაპატიმრების აუცილებლობის გარდა ყველა სხვა შემთხვევაში ბრალდებულის გათავისუფლებას ითვალისწინებს.

თუკი აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის გადასინჯვის წესს გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენების პროცედურას შევადარებთ, არსებით სხვაობას დავინახავთ. კერძოდ, პატიმრობის (ანუ დაკავებაზე მძიმე ღონისძიების) გადასინჯვისას სასამართლო გათავისუფლების უფლებამოსილებითაა აღჭურვილი, ხოლო დაკავება – სავალდებულოს ხდის გირაოს უზრუნველსაყოფად პატიმრობის გამოყენებას.¹⁹

მიუხედავად იმისა, თუ რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს „საპატიმრო გირაო“ შეფარდებული პირების მიმართ კანონმდებლის მხრიდან ასეთ განსხვავებულ და იმპერატიულ მიდგომას, სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ შედეგი მაინც ასეთ ბრალდებულთა ფაქტობრივი პატიმრობაა. ვითარება არ შეიცვლება არც იმ შემთხვევაში, თუკი სსსკ მე-200 მუხლის

16 იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 8 იანვრის განჩინება, საქმე №-1გ/19, გვ. 2.

17 იხ., იქვე.

18 იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 29 ივნისის განჩინება, საქმე №-1გ/895-17, გვ. 8.

19 იხ., ჯორბენაძე ო., (2018). „გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენება“, იხ. სამართლის ჟურნალი: „მართლმსაჯულება და კანონი“, 1'18, გვ. 107.

მე-6 ნაწილით პატიმრობის ავტომატურად გამოყენების წესის არსებობას პრაქტიკოს იურისტთა მხრიდან ნორმის არასწორი განმარტებით ავხსნით, ვინაიდან, საბოლოოდ, მაინც გირაოთი ფორმალურად გათავისუფლებას ექნება ადგილი.

გირაოსა და პატიმრობის ერთდროულად გამოყენება

გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენება, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნა, ფორმალურად გირაოს, ფაქტობრივად კი პატიმრობის (გირაოს შეტანამდე) გამოყენებას გულისხმობს. თუმცა, ამგვარი რეგულაციის არსებობის პირობებში, ჩნდება კითხვა, ხომ არ ხდება სასამართლოს ერთი განჩინებით აღკვეთის ღონისძიების ორი სახის (გირაოსა და პატიმრობის) ერთდროულად გამოყენება?!

ამ მოსაზრების საპირისპიროდ, გამოთქმულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც გირაოს გადახდამდე პატიმრობა, ხოლო მისი შეტანის შემდეგ გირაოა გამოყენებული.²⁰

საკითხის ამ კუთხით უკეთ წარმოდგენის მიზნით, საინტერესო იქნება სასამართლო პრაქტიკის წარმოდგენა. გირაოს უზრუნველსაყოფად პატიმრობის გამოყენებისას, მოსამართლეები განჩინებებში ახდენენ გირაოს გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. ხოლო რაც შეეხება ბრალდებულთა ფაქტობრივ პატიმრობას, მისი გამოყენების „დასაბუთებას“ ერთადერთი საფუძვლით – დაკავების ფაქტის არსებობით ხსნიან. იმ შემთხვევაში, თუკი ჯერ ერთის (პატიმრობის), ხოლო შემდეგ მეორე სახის აღკვეთის ღონისძიების (გირაოს) გამოყენებას ექნებოდა ადგილი, სასამართლო უპირობოდ ვალდებული იქნებოდა, ორივე სახის ღონისძიების გამოყენება ცალ-ცალკე დაესაბუთებინა. სასამართლოთა განჩინებებში ამგვარი განმარტება არ არის წარმოდგენილი. აღნიშნული დასაბუთებულობის სტანდარტის არარსებობის პირობებში უფრო მეტად გასაზიარებელი შეიძლება იყოს ის მოსაზრება, რომ ადგილი აქვს ერთდროულად ორი აღკვეთის ღონისძი-

ბის გამოყენებას, რომელთაგანაც პრაქტიკაში მხოლოდ ერთის (გირაოს) გამოყენების დასაბუთება ხორციელდება. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „საპატიმრო გირაოს“ გამოყენება სასამართლოს არ უნდა ათავისუფლებდეს პატიმრობის მიზანშეწონილობის დასაბუთებისაგან. საპროცესო კოდექსში არსებული ამ ჩანაწერით შეიძლება ითქვას, რომ ყველა ასეთი განსახილველი საქმის (ინდივიდუალური მახასიათებლების) დასაბუთება მოსამართლის ნაცვლად კანონმდებელმა თავიდანვე მოახდინა.

შესაბამისად, ცალსახად იკვეთება საჭიროება, მოხდეს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა იმგვარად, რომ კანონის ჩანაწერმა ბრალდებულის გარანტირებული უფლებების საწინააღმდეგოდ არ იმოქმედოს. ზემოთ მოყვანილ მოსაზრებათა განსხვავებული აზრის მქონენიც კი თანხმდებიან, რომ ამ პრობლემის გადაჭრა ორი გზითაა შესაძლებელი: ნორმის განმარტების ცვლილებით, ან კანონში ცვლილების შეტანით.²¹ კანონის სტაბილურობის პრინციპიდან გამომდინარე, ისინი უპირატესობას ნორმის განმარტების ცვლილებას ანიჭებენ.²² თუმცა, ადამიანის უფლებების ხელყოფის საფრთხის მატარებელი ყველა ნორმის ახლებული განმარტების ჩამოყალიბების გზით გამოსწორება ყოველთვის არ არის ეფექტური. ამდენად, ამგვარი გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა თავად ნორმის შინაარსში გარკვევა და სხვადასხვა არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის გზით მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება. შედეგად, კანონმდებლობის ყველა ანტიკონსტიტუციური ჩანაწერის გაუქმება და ადამიანთა უფლებების დაცვის გარანტიების არა მარტო პრაქტიკის, არამედ საკანონმდებლო დონეზე შენარჩუნებაც იქნება შესაძლებელი.

დასკვნა

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის მოქმედი ზოგადი, არაკონკრეტული საკანონმდებლო ნორმა – გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენების

20 იხ., ლომსაძე მ. (2015). სისხლის სამართლის პროცესი, მე-5 გადაამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, გვ. 254.

21 იხ., ჯორბენაძე ო., (2018). „გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენება“, იხ. სამართლის ჟურნალი: „მართლმსაჯულება და კანონი“, 1'18, გვ. 108.

22 იხ., იქვე.

არსებული რეგულაცია – არაერთგვაროვნადაა განმარტებული თავად მოსამართლეთა მიერაც, რაც დაკავებულ ბრალდებულთა მიმართ განსხვავებულ მოპყრობას აყალიბებს. აზრთა სხვადასხვაობის აღმოფხვრის ერთადერთი გზა ისეთი განჭვრეტადი ნორმის შექმნაა, რომელიც კანონის ერთგვაროვანი გამოყენების პრაქტიკას დაამკვიდრებს. რაც შეეხება თავად ნორმის შინაარსს: იმ შემთხვევაში თუკი სასამართლოს ექნება დისკრეციული უფლებამოსილება, საქმეთა ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე თავად მიიღოს გადაწყვეტილება „საპატიმრო გირაოს“ გამოყენების თაობაზე, დაკავებულ ბრალდებულთა უფლე-

ბების დაცვის მაღალი სტანდარტი შეიქმნება. შედეგად, სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის ხარისხი ევროპული კონვენციით დადგენილ მოთხოვნებთან იქნება შესაბამისობაში, არ მოხდება თავისუფლების პრეზუმფციის დარღვევა და აღმოფხვრება განგრძობადი პატიმრობის საფრთხე დაკავებულ ბრალდებულთა მიმართ. საბოლოოდ, კანონმდებლის მიერ ნორმის ამგვარი შინაარსით ჩამოყალიბების შემთხვევაში, დაცული იქნება როგორც კონვენციით (მე-5 მუხლით), ასევე საქართველოს კონსტიტუციით (მე-13 მუხლით) გარანტირებული ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება – თავისუფლება.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოხაშვილი ბ., მშენიერაძე გ., ყანდაშვილი ი. (2016). ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში The Procedural Rights of Suspects in Georgia;
2. ლომსაძე მ. (2015). სისხლის სამართლის პროცესი, მე-5 გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი;
3. ტრექსელი შ. (2009). ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი.

აქტუალური გამოცემები

1. ჯორბენაძე ო., (2018). „გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენება“, იხ. სამართლის ჟურნალი: „მართლმსაჯულება და კანონი“, 1'18.

სამართლებრივი აქტები

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (04.11.1950); <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>> [ბოლო ნახვის თარიღი: 9 სექტემბერი, 2022]
2. საქართველოს კონსტიტუცია (24.08.1995); <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [ბოლო ნახვის თარიღი: 9 სექტემბერი, 2022]
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (09.10.2009); <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=146>> [ბოლო ნახვის თარიღი: 9 სექტემბერი, 2022]

Bibliography:

References:

1. Bokhashvili B., Mshvenieradze G., Kandashvili I. (2016). Procedural Rights of Suspects in Georgia The Procedural Rights of Suspects in Georgia;
2. Lomsadze M. (2015). Criminal Procedure, 5th Revised and Completed Edition, Tbilisi;
3. Trexel Sh. (2009). Human rights in the criminal justice process, Tbilisi.

Current Editions:

1. Zorbenadze O., (2018). "Use of imprisonment to ensure the use of bail", see Journal of Law: "Justice and Law", 1'18.

Legal Acts:

1. European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (04.11.1950); <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>> [last view date: 9 September, 2022]
2. Constitution of Georgia (24.08.1995); <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [last view date: 9 September, 2022]
3. Criminal Procedure Code of Georgia (09.10.2009); <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=146>> [last view date: 9 September, 2022]

სასამართლო გადაწყვეტილებები/ განჩინებები

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Caballero v. the United Kingdom;
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Brogan and Others v. the United Kingdoms;
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 14 თებერვლის №3/3/1341 საოქმო ჩანაწერი;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 29 ივნისის განჩინება, საქმე №-1გ/895-17;
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 დეკემბრის განჩინება, საქმე №-1გ/1244-14;
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 8 იანვრის განჩინება, საქმე №-1გ/19.

Court decisions/judgments:

1. The decision of the European Court of Human Rights of February 8, 2000 in the case of Caballero v. the United Kingdom;
2. The decision of the European Court of Human Rights of November 28, 1988 in the case of Brogan and Others v. the United Kingdom;
3. Minutes of the Constitutional Court of Georgia dated February 14, 2020 No. 3/3/1341;
4. Judgment of Tbilisi Court of Appeal of June 29, 2017, case No.-1g/895-17;
5. Judgment of the Tbilisi Court of Appeal of December 9, 2014, case No.-1g/1244-14;
6. Judgment of Tbilisi Court of Appeal of January 8, 2015, case No.-1g/19.

NOTES:

1. See, judgment of the Tbilisi Court of Appeal of June 29, 2017, case No.-1g/895-17, p. 6. (In Georgian)
2. See, judgment of the Tbilisi Court of Appeal of June 29, 2017, case No.-1g/895-17, p. 4. (In Georgian)
3. See, judgment of the Tbilisi Court of Appeal of June 29, 2017, case No.-1g/895-17, p. 6. (In Georgian)
4. See, Zorbenadze O., (2018). "Use of imprisonment to ensure the use of bail", see Journal of Law: "Justice and Law", 1'18, p. 105-110. (In Georgian)
5. See, *ibid*.
6. See the decision of the European Court of Human Rights of February 8, 2000 in the case of Caballero v. the United Kingdom (In English)
7. Trexel Sh. (2009). Human rights in the criminal justice process, Tbilisi, p. 129 (In Georgian)
8. See, Minutes of the Constitutional Court of Georgia No. 3/3/1341 of February 14, 2020, I-7. (In Georgian)
9. See McBride J., Human Rights and Criminal Procedure, Case Law of the European Court of Human Rights, Strasbourg, 2011, p. 61. (In English)
10. See, Minutes of the Constitutional Court of Georgia No. 3/3/1341 of February 14, 2020, I-8. (In Georgian)
11. See, judgment of the Tbilisi Court of Appeal of June 29, 2017, case No.-1g/895-17, p. 4. (In Georgian)
12. See Bokhashvili B., Mshvenieradze G., Kandashvili I. (2016). Procedural Rights of Suspects in Georgia The Procedural Rights of Suspects in Georgia, p. 22. (In Georgian)
13. See, *ibid*.
14. See the decision of the European Court of Human Rights of 28 November 1988 in the case of Brogan and Others v. the United Kingdoms, §65. (In English)
15. See, judgment of the Tbilisi Court of Appeal of December 9, 2014, case No.-1g/1244-14, p.6. (In Georgian)

16. See, judgment of the Tbilisi Court of Appeal of January 8, 2015, case No.-1g/19, p. 2. (In Georgian)
17. See, *ibid.*
18. See, judgment of the Tbilisi Court of Appeal of June 29, 2017, case No.-1g/895-17, p. 8. (In Georgian)
19. See, Zorbenadze O., (2018). "Use of imprisonment to ensure the use of bail", see *Journal of Law: "Justice and Law"*, 1'18, p. 107. (In Georgian)
20. See, Lomsadze M. (2015). *Criminal procedure*, 5th revised and updated edition, Tbilisi, p. 254. (In Georgian)
21. See, Zorbenadze O., (2018). "Use of imprisonment to ensure the use of bail", see *Journal of Law: "Justice and Law"*, 1'18, p. 108. (In Georgian)
22. See, *ibid.*